



სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსი

ბრძანება



MES 2 21 00001.1/69



14/09/2021

N1.1/69

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სპეციალური ანკეტა-კითხვარის წარმოდგენისა და წარმოდგენილი ანკეტა-კითხვარების სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ დადასტურების ვადების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის N111/6 ბრძანებით დამტკიცებული „პირის მასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის“ მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის №229/6 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით, სპეციალური ანკეტა-კითხვარების სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში წარმოდგენის ვადად განისაზღვროს - **2021 წლის 15 სექტემბრიდან - 2021 წლის 21 სექტემბრის ჩათვლით პერიოდი.**
2. სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ ამ ბრძანების პირველი მუხლით განსაზღვრული ანკეტა-კითხვარების დადასტურების ვადად განისაზღვროს - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სსიპ - მართვის საინფორმაციო სისტემაში წარმოდგენიდან - **7 სამუშაო დღე.**
3. დაევალოს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურს ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის გაცნობა.
4. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინსიტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საფუძველი: სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უმაღლესი განათლების პროექტის მენეჯერის - ეკატერინე ჩინჩალაძის 2021 წლის 14 სექტემბრის N913610 სამსახურებრივი ბარათი.

სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
სისტემის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
ტატიშვილი დავით

